გაკვეთილის გეგმის ნიმუში

სსიპ თემურ ზაქარაძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი მარინა ბერიძე

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

საფეხური: საბაზო

კლასი: მე-7

მოსწავლე: 5 (კლასში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე არ არის)

გაკვეთილის თემა : ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ ვაჟა-ფშაველას ტექსტის ანალიზსს;

- მოსწავლეები შეძლებენ ტექსტიდან საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების გამოყოფას;
- ლიტერატურული ტექსტისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას და დასაბუთებას;
- შესწავლილი ტექსტიდან დასკვნის გამოტანას, არგუმენტირებულ მსჯელობას (მინიმუმ სამი-ოთხი არგუმენტი).

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წთ.

გაკვეთილის ტიპი: ინოვაციური

N	აქტივობა/აქტივობის აღწერა	მეთოდი	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსები	დრო	თითოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი

1.	**A** ფაზა- გამოწვევა-მოტივირება ორგანიზაციული საკითხების მოგვარება: მასწავლებელი მოსწავლეებს მოკლედ აცნობს გაკვეთილის თანმიმდევრობას, თემას, <u>მიზანს</u>, <u>აქტივობებს</u> და შეფასების რუბრიკას. შეახსენებს ქცევის წესებს. (მასწავლებელს მოსწავლეებთან ერთად წინასწარ აქვს შედგენილი შეფასების რუბრიკა, მოსწავლეები კარგად იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს.) რომლებიც ჩამოწერილია ფლიფჩარტზე და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.	ვერბალური ახსნა	მთელი კლასი	ჟურნლი, საწერკალამი, შეფასების რუბრიკა	3 წთ	მოსწავლეები შეძლებენ ყურადღების მობილიზებას, გაეცნობიან გაკვეთილის მიზანს, სამუშაო აქტივობებს და შეფასების სქემას.
2	მოსწავლეებს გაახსენებს წინა გაკვეთილზე შესწავლილ მასალას და კითხვების საშუალებით არკვევს, ვინ როგორ გაიგო ვაჟა-ფშაველას ,, კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა.“ 1. თქვენ ვაჟა-ფშაველას არაერთი ნაწარმოები გაქვთ შესწავლილი, როგორ ფიქრობთ რა არის ვაჟას მთავარი სათქმელი? 2. როგორია კლდე, კლდისავე თქმით 3. გიხსენეთ, რა გუბდება, რა გროვდება კლდის გულში. 4. რისი სიმბოლოა ,,შავი კუპრივით ნისლი?“ 5. გაიხსენეთ რომელი ფრაზის დამახსოვრებას ურჩევს კლდე ავტორს? 6. ტროპული აზროვნების რომელ სახეობას ეფუძნება კლდის მხატვრული სახე? პირველი ფაზის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს: --რამდენად სწორად გადმოსცეს ტექსტის შინაარსი და მოიყვანეს არგუმენტები. -- რამდენად იაქტიურეს კითხვა-პასუხის რეჟიმში.	,,თხრობის მთა“ კითხვა-პასუხი განმავითარებელი ზეპირი კომენტარი	ინდივიდუალური; მთლიანი კლასი	სქემა ,,თხრობის მთა“	10 წთ	გაიხსენებენ ადრე შესწავლილ ნაწარმოებებს და მათ საფუძველზე გაიაქტიურებენ წინარე ცოდნას. პირველი ფაზის დასრულების შემდეგ მიიღებენ განმავითარებელ შეფასებას.

3.	აქტივობა-საშინაო დავალება მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს მოემზადონ საშინაო დავალების (მათთვის სასურველი ეპიზოდის ილუსტრაცია) პრეზენტაციისათვის. მოსწავლეები ცალ-ცალკე წარმოადგენენ საშინაო დავალებას. მასწავლებელი მათ ნამუშევრებს აკრავს თვალსაჩინო ადგილზე.	საშინაო დავალება, პრეზენტაცია განმავითარებელი ზეპირი კომენტარი	ინდივიდუალურად	მოსწავლეთა ნამუშევრები (ნახატები), დაფა, მაგნიტები	5 წთ	მოსწავლეები წარმოადგენენ ეპიზოდის ილუსტრაციას. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მიიღებენ განმავითარებელ შეფასებას.
4.	**B** ფაზა- სიღრმისეული წვდომა აქტივობა-დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე მასწავლებელი აწვდის ინსტრუქციას. თხოვს გადაიკითხონ ტექსტი, ჩაინიშნონ და ამოიწერონ მთავარი დეტალები, საკვანძო სიტყვები და შემდეგ დაასახელონ ტექსტში ასახული პრობლემა. წაკითხულის შესახებ გაუზიარონ აზრი ერთმანეთს და გაეცენ წერილობითი პასუხი შეკითხვას (მასწავლებელი ურიგებს ბარათებს). ბარათებში კითხვები აზრობრივადაა დალაგებული . პასუხების გაცემის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს თავიანთი ბარათები დაალაგონ ბლუმის ტაქსონომიის სქემაზე და კლასტან ერთად განიხილოს დავალების შესრულების სისწორე.	ტექსტზე მუშაობა, ურთიერთსწავლება, ჩანიშვნების გაკეთება, ახერხებენ მიღებული ცოდნის ტრანსფერს	ჯგუფი, მთელი კლასი	სახელმძღვანელო, სამუსაო ბარათები	8 წთ	ამოიცნობენ საკვანძო სიტყვებს და წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე.

5.	მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაწყვილდნენ (წყვილი/ტრიადა) და შეავსონ სქემა შემდეგი მითითების მიხედვით (მასწავლებელი მოსწავლეებს ფლიფჩარტის ფურცელზე წინასწარ გამზადებულ სქემებს ურიგებს ,,თევზის ფხა“). ა) სამუშაო ფურცელი ,,ზედა ფხები“- წყვილი იმუშავებს არგუმენტებზე (მოიძევენ შესაბამის არგუმენტებს ტექსტიდან და ცხოვრებისეულ პრქტიკიდან). ბ) ტრიადა ,,ქვედა ფხები“-იმუშავებს გამომწვევ მიზეზებზე (მოიძევენ შესაბამის მიზეზებს ტექსტიდან) მასწავლებელი წყვილებიდან ერთ მოსწავლეს წააკითხებს თევზის ზედა ფხაზე დაწერილ მახასიათებლებს, ხოლო მეორეს- თევზის ქვედა ნაწილში ჩამოწერილ არგუმენტებს და აუდიტორიას წარუდგენს შესრულებულ დავალებას, თუ პრეზენტატორებს გამორჩათ რამე, სხვა წევრები შეავსებენ. საბოლოოდ მასწავლებელი შეავსებს ერთი საერთო დიაგრამას დაფაზე, სადაც კლასთან შეთანხმებულ ცნობებს დაიტანენ. მეორე ფაზის დასრულების შემდეგ აფასებს მოსწავლეებს: --როგორ იმუშავეს ტექსტზე, წყვილებში, ტრიადაში --რამდენად ორიგინალური იყო პრეზენტაცია	სამუშაო ფურცლები ,,თევზის ფხის“ შევსება	წყვილი/ ტრიადა	სამუშაო სქემები ,,თევზის ზედა და ქვედა ფხები“ მარკერები	9 წთ	ამოიცნობენ ტექსტიდან არგუმენტებს და გამომწვევ მიზეზებს. მეორე ფაზის დასრულების შემდეგ მიიღებენ განმავითარებელ შეფასებას.ს.

6.	**C** ფაზა-რეფლექსია-შეჯამება მასწავებელს მოსწავლეები შემაჯამებლი კითხვების საშუალებით მიჰყავს მთავარ დასკვნამდე და ავსებენ თევზის ფხის ბოლო ნაწილს, რომელზედაც გაკეთდება დასკვნა. 1.რომელ ნაწარმოებს გაიხსენებთ თქვენი აზრის გასამყარებლად? 2. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ რომ სწავლება, ქადაგებამ კაცი ანგელოზად გარდაქმნას? 3. გაიხსენეთ ვის ქადაგებდა სიყვარულის აუცილებლობას. ვაჟას კლდე ვის სწავლებას იმოწმებს? გაავლეთ პარალელი მწერლების თქვენთვის ნაცნობ ნაწარმოებებთან, სადაც კაცობის საზომად, ადამიანის ამაღლების საფუძვლად სიყვარული ითვლება. 4. როგორ გესმით ნაწარმოების ფინალი? მოსწავლეები გამოთქვამენ და ასაბუთებენ მოსაზრებებს, პარალელს ავლებენ შესწავლილ მასალებთან, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს და აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლით გამოაქვთ საერთო დასკვნა.	მსჯელობა კითხვა-პასუხით განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება.	მთელი კლასი ინდივიდუალურად	სქემა ,,თევზის ფხა“	6 წთ	პოზიციის გასამყარებლა დცხოვრებისეული არგუმენტების მოშველიება. გაანალიზებენ ტექსტს, მასზე დაყრდნობით შეაჯამებენ და გააკეთებენ დასკვნებს.
7.	შეფასება- განმსაზღვრელი	განმსაზღვრელი	მთელი კლასი, ინდივიდუალურად	შეფასების რუბრიკა	3წთ	მოსწავლეები შეფასდებიან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით
8.	საშინაო დავალების მიცემა ესე: თქვენი აზრით, კლდე ოდესმე კიდევ ამეტყველდება? რას მიიჩნევდით მისი ალაპარაკებისა და დადუმების მიზეზებად.	წერითი დავალება	ინდივიდუალურად	საშინაო დავალების რვეულები	1 წთ	

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები:

ქართ. **VII. 6.** მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების შესაბამისად გამოყენება.

- იყენებს აუდიტორიაზე ზემოქმედების არავერბალურ ხერხებს (მხედველობითი კონტაქტი, ხმის აწევ-დაწევა, საუბრის ტემპის შეცვლა, ჟესტიკულაცია) ზეპირი გამოსვლების დროს მსმენელთა ინტერესის გასაღვივებლად.

ქართ. **VII. 7.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

- ამოიცნობს წაკითხულ ტექსტში მთავარ აზრს (იდეას), განასხვავებს ფაქტებს შეფასებებისგან, გამოაქვს დასკვნები და წარმოადგენს რეზიუმეს სახით ზეპირად .
- ქართ. **VII. 10.** მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.
- კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით სწრაფად ჩაიკითხავს ტექსტს, ეძებს საყრდენებს: საკვანძო სიტყვებს, კითხულობს აბზაცების მიხედვით.

შეფასების რუბრიკა. დანართი: 1

გაკვეთილში ჩართულობის შეფასების რუბრიკა

ქულები და კრიტერიუმები	**9-10**	**7-8**	**4-5-6**	**3-2-1**
აქტიური მონაწილეობა და მსჯელობა	ყოველთვის მონაწილეობს დ ა ხშირად წარმართავს საკლასო მსჯელობას	ყოველთვის მონაწილეობს, მაგრამ უჭირს მსჯელობა	ხშირად მონაწილეობს, მაგრამ ვერ მსჯელობს	იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს, უჭირს მსჯელობა
გამართული და სწორი მეტყველება	გამართულად მეტყველებს, აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითა დ იყენებს ენობრივ-გამომსახველობი თ საშუალებებს	გამართულად მეტყველებს და იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს	იცავს მართლმეტყვე ლების ელემენტარულ წესებს. მეტ-ნაკლებად გამართულად საუბრობს	არ იცავს მართლმეტყვე ლების ელემენტარუ ლ წესებს

საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოდგენა	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს თავის მოსაზრებას	თითქმის ყოველთვის ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას	სირად ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას	უჭირს გამართულად საუბარი, ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს
სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება	უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით. კორექტულია და ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას.	უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით.	უსმენს სხვებს და აცდის საუბრის დამთავრებას	არ უსმენს სხვებს და არ აცდის საუბრის დამთავრებას

გამოყენებული სქემები

სქემა ,, თხრობის მთა“



მაღალი სააზროვნო უნარების ,,ბლუმის ტაქსონომია“



კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი მეთოდი ,,თევზის ფხა“



„თევზის ფხა“ **4** ინფორმაციული ბლოკისგან შედგება:თავი – აქ საჭიროა გადასაჭრელი პრობლემის, საკითხის, პრობლემური სიტუაციის დაფიქსირება.

ზედა (დახრილი, თავისკენ მიმართული) ფხა/ფხები – პრობლემური საკითხის გამომწვევი მიზეზების თავმოყრა.
ქვედა ფხა/ფხები – ფაქტები, რომლებიც ამყარებს (ადასტურებს, გაამყარებს…) თავში მოცემულ პრობლემატიკას.
კუდი – დასკვნა, განზოგადება, შეჯამება.
დიაგრამაზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია მოცემული ცნობების რანჟირების წესის გათვალისწინებაც – თავთან უფრო ახლოს შევსებული „ფხა“ მეტად მნიშვნელოვანი, „წონიანი“ ცნობაა.
აუცილებელია ცნობების (ინფორმაციის) მოკლედ, ლაკონიურად, ნათლად, მკაფიოდ გამოხატვა/გამოსახვა დიაგრამაზე.

მოსწავლეთა
ნამუშევრები

რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე

გაკვეთილის თემა იყო ვაჟა-ფშაველას „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“.მოთხრობის შესწავლას დავუთმე ორი აკადემიური საათი - პირველზე შევასწავლე მოსწავლეებს ტექსტის შინაარსი, მეორეზე - იდეურ-მხატვრული ანალიზი.

მიზანი იყო ვაჟა-ფშაველას ტექსტის მხატვრული ანალიზი; ტექსტიდან საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების გამოყოფა; ლიტერატურული ტექსტისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და დასაბუთება; შესწავლილი ტექსტიდან დასკვნის გამოტანა (მინიმუმ სამი- ოთხი არგუმენტი).

ესგ შედეგი და ინდიკატორი:

ქართ. VII. 6. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების შესაბამისად გამოყენება.

- იყენებს აუდიტორიაზე ზემოქმედების არავერბალურ ხერხებს (მხედველობითი კონტაქტი, ხმის აწევ-დაწევა, საუბრის ტემპის შეცვლა, ჟესტიკულაცია) ზეპირი გამოსვლების დროს მსმენელთა ინტერესის გასაღვივებლად.

ქართ. VII. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

- ამოიცნობს წაკითხულ ტექსტში მთავარ აზრს (იდეას), განასხვავებს ფაქტებს შეფასებებისგან, გამოაქვს დასკვნები და წარმოადგენს რეზიუმეს სახით ზეპირად .
- ქართ. VII. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.
- კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით სწრაფად ჩაიკითხავს ტექსტს, ეძებს საყრდენებს: საკვანძო სიტყვებს, კითხულობს აბზაცების მიხედვით.

გაკვეთილს წარვმართავდი გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიხედვით. მნიშვნელოვანი გადახვევა-მოდიფიცირება არ დამჭირვებია. ვფიქრობ, რომ გაკვეთილზე გამოყენებული სასწავლო მეთოდები შეესაბამებოდა წინასწარ განსაზღვრულ საგაკვეთილო მიზნებს. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს გავაცანი გაკვეთილის თემა,

მიზანი, სამუშაო აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ფლიფჩარტზე მქონდა ჩამოწერილი და გამოკრული თვლსაჩინო ადგილას.

გაკვეთილის მიზნების მიღწევას, სწორად დაგეგმილი აქტივობების ეფექტურად განხორციელებამ შეუწყო ხელი: ძალიან კარგი იყო წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, გამოწვევის ფაზაზე,ტექსტის შინაარსის გადმოსაცემად გამოყენებული მეთოდი ,,თხრობის მთა.“ ყურადღება გავამახვილეთ ტექსტის ძირითად ელემენტებზე. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებმა შეძლეს ტექსტის სტრუქტურის გააზრება (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული) და თითოეულ ნაწილში მოცემული ინფორმაციის დაკავშირება და ორგანიზება, რომელთა სფუძველზე გაიხსენეს არა მარტო შესწავლილი ნაწარმოებები, არამედ ამოიცნეს ავტორის მთავარი სათქმელი და აზრის გასამყარებლად მოიყვანეს შესაბამისი არგუმენტები.

ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალური შედეგები „ დადეს“.

ამის შემდეგ განვახორციელე აქტივობა, საშინაო დავალების შემოწმება - შეფასება, რომელიც წარმოსახვის, ვიზუალიზების აქტივობას ეხებოდა. მოსწავლეებმა არსებული ცოდნისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სახლში დამოუკიდებლად შექმნეს ილუსტრაციები, მათ სიუჟეტური მოვლენები ვიზუალურ ელემენტებად-ილუსტრაციებად გააცოცხლეს და თითოეული ნახატი ცალ-ცალკე აღწერეს 1-2 ამხსნელი წინადადებით, ანუ ილუსტრაციებს დაურთეს კომენტარები. ნამუშევრები მეტად შთამბეჭდავი იყო, რომლებიც დაალაგეს ქრომოლოგიურად, სიუჟეტის განვითარების შესაბამისად და გამოვაკარით თვალსაჩინო ადგილას. მოსწავლეების ფანტაზია, წარმოსახვა აქტივობის თვალსაზრისით შევაფასე სიტყვიერი კომენტარით. საშინაო დავალებამ მოსწავლეს დაეხმარა წაკითხულის აღქმაში, გაგებაში, დამახსოვრებასა და გადმოცემაში.

მეორე ფაზაზე გამოვიყენე მეთოდი ,,დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე“ მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გადახედეს ტექსტს, ჩაინიშნეს მთავარი დეტალები და დაასახელეს ტექსტში ასახული პრობლემა, რომელიც დავწერეთ ,,თევზის ფხის“ სქემაზე. შემდეგ მოსწავლეებს გადავეცი ბარათები რომელშიც კითხვები აზროვნებრივად იყო დალაგებული. მათ კითხვებს გასცეს შესაბამისი პასუხები და დაალაგეს ბლუმის ტაქსონომიის სქემაზე. კლასთან ერთად განვიხილეთ დავალების შესრულების სისწორე. ამ გზით მოსწავლეებმა გასცეს კითხვებს შესაბამისი პასუხები და გააკათეს სათანადო არგუმენტირებული დასკვნები. აქტივობის დასრულების შემდეგ მივაწოდე განმავითრებელი უკუკავშირი და შევაქე.

შემდეგი აქტივობა მოსწავლეებს დაევალათ ,,თევზის ფხის“ შევსება და ვთხოვე გადანაწილებულიყვნენ წყვილებად/ ტრიადებად და შეავსეს სქემა შემდეგი მითითების მიხედვით:

ა) სამუშაო ფურცელი ,,ზედა ფხები“- წყვილმა იმუშავა არგუმენტებზე (მოიძიეს შესაბამის არგუმენტები ტექსტიდან და ცხოვრებისეული პრაქტიკიდან).

ბ) ტრიადა ,,ქვედა ფხები“-იმუშავეს გამომწვევ მიზეზებზე (მოიძიეს შესაბამისი მიზეზები ტექსტიდან).

წყვილებიდან სურვილისამებრ ერთ მოსწავლემ წაიკითხა თევზის ზედა ფხაზე დაწერილი მახასიათებლები, ხოლო მეორემ- თევზის ქვედა ნაწილში ჩამოწერილი არგუმენტები და აუდიტორიას წარმოუდგინეს შესრულებული დავალება, რაც პრეზენტატორებს გამორჩათ სხვა წევრებმა შეავსეს. საბოლოოდ ერთად შევავსეთ საერთო დიაგრამა, სადაც კლასთან

შეთანხმებული ცნობები დავიტანეთ. ამ აქტივობამ ხელი შეუწყო წაკითხული ტექსტის შეფასებას, მთავარი იდეის გამოყოფას და დასკვნების გამოტანას.

--როგორ იმუშავეს ტექსტზე, წყვილებში, ტრიადაში

--რამდენად ორიგინალური იყო შესრულებული სამუშო.

აქტივობის დასრულების შემდეგ მივაწოდე სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი და წავახალისე.

მესამე ფაზაზე მოსწავლეებს დავუსვი შემაჯამებელი კითხვები და კითხვების საშუალებით მივიყვანე მთავარ დასკვნამდე. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ ყურადღება გაამახვილეს ტექსტში მოცემულ ფაქტებზე, მნიშვნელოვან სიტყვებსა და ფრაზებზე, იფიქრეს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე, ისაუბრეს და წარმოაჩინეს თუ რა იყო მათთვის საინტერესო, ასევე გამოთქვეს სურვილი, თუ რის გაგებას ისურვებდნენ ტექსტის შესახებ. ისინი გამოთქვამდნენ და ასაბუთებდნენ მოსაზრებებს, პარალელს ავლებდნენ შესწავლილ ნაწარმოებებთან, ახდენდენდენ საგანთაშორის კავშირს, მოიშველიეს სახარებაც, უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს და აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლით გამოიტანეს საერთო დასკვნა და შეავსეს თევზის ფხის ბოლო ნაწილი.

რაც შეეხება სასწავლო რესურსებს, იყო მრავალფეროვანი, გამზადებული სქემები, შაბლონები, ბარათები, ჯგუფური დავალების მასალა, მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსი, რომელიც გამოვიყენეთ გაკვეთილის შეჯამებისას, ყოველივე ამან უზრუნველყო მოსწავლეთა საკმაოდ მაღალი დაინტერესება და შედეგების მიღწევაც.

მთელი გაკვეთილის მსვლელობისას აქტიურად გამოვიყენეთ სახელმძღვანელო, (ავტორი ვ. როდონაია, მ. ხუციშვილი), დამატებითი ლიტერატურა.

მოსწავლეებს საშინაო დავალებად მივეცი ესე: თქვენი აზრით, კლდე ოდესმე კიდევ ამეტყველდება? რას მიიჩნევდით მისი ალაპარაკებისა და დადუმების მიზეზებად. დავალების შესასრულებლად მივეცი რჩევები და მითითებები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გაკვეთილის წარმატებით ჩატარებაში დიდი დახმარება გამიწია ჯერ გეგმის შედგენამ შიდა დაკვირვების გაკვეთილის შესახებ სქემის მოთხოვნების გათვალისწინებით და შემდეგ გაკვეთილის პროცესში ჩემი მოქმედების ამ სქემასთან შესაბამისობაში წარმართვამ.

ამ გზით მივაღწიე, რომ ურთიერთობა კლასში ჩემსა და მოსწავლეებს შორის წარვმართე თანამშრომლობისა და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, მაქსიმალურად ვცდილობი, ვყოფილიყავ აქტიური მსმენელი.

მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს ქცევის წესების კარგი ცოდნა როგორც საერთო საკლასო, ისე ჯგუფური, დამოუკიდებელი და წყვილებში მუშაობის დროს.

სქემის მოთხოვნების გათვალისწინებით შევეცადე მოსწავლეებისათვის შემეთავაზებინა მოტივირებული სასწავლო რესურსი, ფიზიკური გარემო შეესაბამებოდა საკლასო ორგანიზაციის ფორმას,-რადგან კლასში 5 მოსწავლეა, ამიტომ ვარჩიე ჯერ მთელ კლასთან მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, შემდეგ კი ჯგუფური მუშაობისას მათი სამად და ორად გაყოფა, და ამან სასურველი შედეგი გამოიღო. სასწავლო რესურსი ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი იყო, რადგან გათვალისწინებული მქონდა მათი შესაძლებლობები და სურვილები.

მთელი გაკვეთილის განმავლობაში ვცდილობდი ერთმანეთთან დამეკავშირებინა საგაკვეთილო და გრძელვადიანი მიზნები და მგონი შევძელი ამის გაკეთება. ტექსტზე მუშაობის დროს ვხელმძღვანელობდი იმ პრინციპით, რომ გამემდიდრებინა მოსწავლეების ლექსიკური მარაგი, სწორად გამომეყენებინა აკადემიური ტერმინები.

საგაკვეთილო პროცესში მოვახერხე ჩემი მიმიკა, ჟესტიკულაცია ყოფილიყო გასაგები, მზერა, მინიშნებები, საუბრის ტონალობა დამექვემდებარებინა მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის მიღწევისათვის და ვფიქრობ, შევძელ ამის გაკეთება.

გაკვეთილის მანძილზე ვცდილობდი ყველა აქტივობის წინ გამომეკვეთა სამოქმედო ინსტრუქციები და მიზნები, რამაც მოსწავლეების მობილიზებაში კარგი როლი შეასრულა.

შფასების სქემის მოთხვნას შევუსაბამე სასწავლო სტარტეგიების შერჩევა, თანმიმდევრული ვიყავ კითხვების დასმაში და შევეცადე თავად მოსწავლეებსაც დაესვათ კითხვები, წარემართათ მსჯელობა, გაეკეთებინათ დასკვნები.

გაკვეთილის წარმატებით ჩატარებაში ხელი შემიწყო შეფასების რუბრიკების გათვალსჩინოებამ და შეფასების მათი გამოყენებით წარმართვამ.

გაკვეთილის პროცესში გეგმის მოდიფიცირების საჭიროება არ დამდგარა, მოსწავლეები განსაზღვრულ დროში მუშაობდნენ აქტივობებზე, სამუშაო დრო სწორად მქონდა განაწილებული და ტყუილად არ იკარგებოდა.

ჩატარებული გაკვეთილის მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ მივაღწიე დასახულ მიზანს, მოსწავლეებმა შეძლეს ჩემ მიერ დაგეგმილი მისაღწევი შედეგების.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კოლეგებმა გაიზიარეს ინოვაციური გაკვეთილის ჩატარების პრაქტიკა, ინოვაციური გაკვეთილის მეთოდები და აქტივობები ადრეც გამომიყენებია საგაკვეთილო პროცესში, მაგრამ ასეთი ფორმით არა.